

ნახშირი

ISSN 0132-6015

საქართველოს
ბიბლიოთეკა

№ 17


1985

უპანასკნელ ხანს გახშირდა შემთხვევები, როდესაც ირღვევა სასურსათო რესურსების გამოყენების წესი, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მოსახლეობა პირუტყვის საკვებად ყიდულობენ პურს და სხვა პროდუქტებს სავაჭრო ქსელში.

ბაჟთეზიდან



ნ.ბ. ჯ. ლოლუასი



თბილისელმა ოთარ ბაბრიყლის ძე ქარაქუაშვილმა მთვრალ მდგომარეობაში ჩაიღინა ხულიგნობა: ტრიკოტაჟის ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში აგინა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და დანაც კი გამოიყენა **მ. პალიაშვილი** და **ბ. ბინინოვი**ს მიმართ. ესეც არ იკმარა და დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირებს, სანჯონის პირველ კორპუსში **ნ. სამადაშვილის** ბინაში ქურდულად შეაღწია, საიდანაც 7.590 მანეთის სხვადასხვა ნივთი გაიტაცა.

დამნაშავე სამსჯავროს წინაშე წარდგა. ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ **მ. ქარაქუაშვილს** მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დააკისრა 7.590 მანეთის გადახდა დაზარალებულ **ნ. სამადაშვილის** სასარგებლოდ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის წინაშე წარდგა **ქაცინი-მკვლელი ავთანდილ ონოფრას ძე ჩხანიძე**!.. კარგად რომ გამოთვრა, მან ჩაიღინა მოქ. თ. ქარაქუაშვილის განზრახვი მკვლელობა, როდესაც მსხვერპლი საზოგადოებრივ მოვალეობას ასრულებდა. აგრეთვე მან სცადა იქვე მყოფი ორი პირის მოკვლაც, როცა ისინი მისი ბოროტი ხულიგნობის აღკვეთას ცდილობდნენ. სასამართლო კოლეგიის განაჩენით **ბ. ჩხანიძეს** მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი

საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით **მ. გომოლიძეს** 6 წლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

უზომოდ მთვრალმა **ვიანისლავ ბრიგოლის ძე ქაზაროვა** თავისი ყოფილი მეუღლის ბინაზე მიიყვანა მასავით მთვრალი **ბ. ქორძაძე**. გააგრძელეს ჭამა-სმა. ლიქიორმა ჭკუა-გონება აურია **ქაზაროვს**. ამფოსონები შეკამათდნენ, რაც ჩხუბში გადაიზარდა. **ქაზაროვმა**, მოკვლის მიზნით, **ქორძაძეს** ნაჯახი ჩაარტყა თავში, შემდეგ ნაჯახისა და სამზარეულო დანით მსხვერპლს 80 ჭრილობა მიაყენა!..

საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მკვლელს, რომელმაც „ჩაიღინა განზრახვი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში განსაკუთრებული სისასტიკით“, შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 15 წლით, აქედან 10 წელი – საპრობილეში მოხდით, 5 წელი – მკაცრი რეჟიმის კოლონიაში და, სასჯელის მოხდის შემდეგ, 5 წლით გასასლება.

ქალის სუფრასთან მეტისმეტად გამომწვევად იქცეოდა **ვილან ტიბრანის ძე პოდოსინანი**, რის გამოც მის პირდაპირ მჯდომი მოქ. **გურაშვილის** სამართლიანი შენიშვნა დაიმსახურა. **პოდოსინანმა** ეს ითაკლა. ისინი წაიჩხუბნენ, **გურაშვილმა** ხელი

ტანგ გომბაპარიშვილს, რომელსაც გამეტებით ჩასცა დანა გულში და მოკლას, საქმეა რულო წვეულება უდიდესი მწუხარებით შეიცვალა!..

წყალტუბოს სახალხო სასამართლოში შედგა მკვლელის სამსჯავრო პროცესი. სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე გამოტანილი განაჩენით მკვლელს – **პ. ჯაბაშვილს** – მიესაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. ეს განაჩენი ძალაში დატოვა ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ გამოტანილი განჩინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილ განაჩენში გკითხულობთ: „მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 15 წლით, აქედან 5 წელი – საპრობილეში, ხოლო 10 წელი – განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით, გასასლებით“. ეს განაჩენი უცვლელადაა დატოვებული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებით.

ვის ესება ესოდენ მკაცრი განაჩენი? იგი დაიმსახურა განსაკუთრებით საშიშმა რევიდვისტმა **გიორგი გიორგის ძე ლაქაშაძემ**.

რა ჩაიღინა მან? სამუშაოს დამთავრების

საქალაქო სასამართლო

სამართლებრივი

რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, შემდეგ კი 5 წლით გასასლებით. ეს განაჩენი რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებით დატოვებულია უცვლელად.

ადრე სასამართლომ **პანტანგ ალაქსანდრას ძე გომოლიძემ** ჭკუავერ ისწავლა. ჩვეულებრივად უჩვეულოდ დათვრა, სპეციალურად მომარჯვებული სავნით ჩაიღინა ბოროტი ხულიგნობა – ავტობუსში აგინა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მგზავრებს **ლ. სარაგოვას** და **პ. სარაგოვას**.

მის დამოშინებას რომ შეეცადნენ, წინააღმდეგობა გაუწია მილიციელებს – რკინიგზის სადგურზე აგინა და ხელი ჰკრა **მ. გორბაქის**, ყელში სწვდა **პ. ივანიშვილს**, მილიციის სამორიგეოში ვინებით აიკლო **ნ. შამანაძე** და სახეში თავი დაარტყა, ჩამოახია სამხრე!.. „თავური დამრტყმელი“ გასამართლეს

გაარტყა სახეში. **პოდოსინანი** მას მუქარით გაცვალა. მეორე დღეს **პოდოსინანმა** თავისი ორი ამხანაგი წაიყვანა **გურაშვილის** ბინაზე, საიდანაც ის გამოიძახეს და ცემა დაუწყეს, მერე **პოდოსინანმა გურაშვილს** დანა ჩაარტყა **გულ-მკერდში**. იგი მეზობლებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. დამნაშავენი მიიმაღნენ.

მილიციამ შეიპყრო **პოდოსინანი** და პასუხისგებაში მისცა „შურისძიების მოტივით მოკვლის მიზნით მკვლელობის მცდელობისათვის“.

26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით **პოდოსინანს** მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

სოფალ პირველ წყალტუბოში, **შპან-ბირაძის** ოჯახში, წვეულებაზე იყო ვინმე **პავლე ვარლამის ძე ჯაბაშვილი**. იგი სხვებთან ერთად უზომოდ დათვრა, ატეხა აყალმყალი. განსაკუთრებით მიეტანა **პან-**

შემდეგ **ლარი სვედელიძესთან** და **შაბრიძე** „ისინი“ სხვა მუშებთან ერთად არაფი სვა ჯერ საამქროში, შემდეგ – იქვე მღებარე სახინკლში!.. სმის გასაგრძელებლად **ბ. ლაქაშაძე** **ლ. სვედელიძე** თავის სახლში შეიპატივა. მეუღლემ სუფრა გაუშალა. და, აი, წყუული უჭვიანობა! **ლაქაშაძემ** ცოლი სამზარეულოში გაიყვანა და სილა გააწნა სახეში!.. გულამღვრული დაბრუნდა გაშლილ მაგიდასთან, სადაც **ლ. სვედელიძე** იჯდა. მივარდა მასთან, ჯერ გულ-მკერდში ჩასცა პურის საჭრელი დანა, შემდეგ კი რამდენიმეჯერ დაარტყა იგივე დანა მუცელში. მიყენებული ჭრილობებისაგან **ლ. სვედელიძე** იმავე ღამეს გარდაიცვალა საავადმყოფოში!..

ბოროტი მკვლელი მიიმაღა. მაგრამ „კოკა წყალზე გატყდა“. იგი შეიპყრეს, გასამართლეს, და 15 წლის ვადით მოჰკვეთეს საზოგადოებას!

ს. სავაძელი



ამას იკადრებს?!

კასრით მიღიხარ
ზარის „პივაზე“!..
ამას იკადრებს
განა შიმპანზე?

ვითომ?

ვითომ შეგერგო?
ცოტაც აცადე —
ქვევრი გახეთქა
ღვინომ კაცადღე!..

ლეში

იძირები
სიმთვრალეში! —
რალა შენ და
რალა ლეში?!

მუცელი

გავრბივარ,
ვეღარ ვუცქერი,
როცა თამაღობს
მუცელი!..

არ გრჩება..

დროც არ გრჩება,
კაცს რომ ჰგავდე,
ღრეობიდან
ღრეობამღე!

ქალქონია

ყავის სუფრის
„ზაქონია“ —
ქალს იგვარა,
ქალქონია!..

გალეწილა

ალეწილა
შენი ლოყა,
გალეწილა
შენი ქისა!..
ბოთლის ფსკერს რომ
ენით ლოკავ,
არც კაცის გწამს
და არც ღვთისა?

ცხონდა

შენზე ამაყიც
ცხონდა იმითა —
არაყის ნაცვლად
ჩირი მიირთვა!

ააღლიტეთ!

ააღლიტეთ
სინდისს კანი,
ხელთ რა შეგრჩათ? —
ნარკომანი!

„ზომიერად“

გამსკდარია
„ზომიერად“,
ზოგი ამჩნევს,
ზოგი — ვერა!

ზაზა კაციაშვილი



სანბრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სპირტიანი და ალკოჰოლური სასმელების მსმელი, ხალხმრავალი სუფრების სახელგანთქმული თამადა **ქანსურ ჩაფის ძე ყანწიაშვილი**.

ქ. ჩ. ყანწიაშვილი დაიბადა ამა და ამ წელს, ამა და ამ რაიონის ამა და ამ სოფელში, უბრალო მერიქიფის ოჯახში.

ქ. ყანწიაშვილმა შრომითი საქმიანობა სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო. ჯერ კიდევ ბავშვი ჩაება იგი ღვინის სმეში. მალე პროფესიონალ მკაართა რიგებში ჩაირიცხა.

ამა და ამ წელს, როგორც კარგ მსმელს, **ქ. ყანწიაშვილს**, ერთ-ერთ დაბადების დღეზე ნიშნავენ თამადის მოადგილედ. აქედან მოყოლებული, იწყება მისი ნამდვილი სათამაშო კარიერა.

ამა და ამ წლიდან ამა და ამ წლამდე **ქ. ყანწიაშვილი** მუშაობს ქელეხის, სოლო შემდეგ — დაბრუნებითი ქორწილის თამადის მოადგილედ. იქიდან პირდაპირ გადაჰყავთ ლოჯიის თამადად ერთ-ერთი ხალხმრავალი ქორწილის სუფრაზე.

ამა და ამ წლიდან, სიცოცხლის ბოლო წუთამდე, **ქ. ყანწიაშვილი** განაგებს ხალხმრავალ სუფრებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქორწილებში, ქელეხებში, დაბადების დღეებსა და წვეულებებზე.

ქ. ყანწიაშვილი ავტორია მრავალი ორიგინალური სადღევრძელოსი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ხალხმრავალ ქელეხებსა და ქორწილებში განსხვავებული სასმისების დანერგვისა და გავრცელების საპატიო საქმეში. მის სუფრაზე ყოველთვის სმის ატმოსფერო სუფევდა. სმისთვის განკუთვნილი დრო მას არასოდეს დაუთმია ტაშფანდურისთვის. იგი მუდამ პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა თანამესუფრეებს: სვამდა ბოლომდე, ღვინის უკანასკნელ წვეთამდე, სუფრიდან ფუნქოცვლელად. განსაკუთრებით შლიდა ფრთას ყანწიაშვილის ფანტაზია თავისუფალ სადღევრძელოებში. მისი ქების ობიექტი სუფრაზე, სხვა რიგით სადღევრძელოებთან ერთად, იყო მრავალჭირნახული საქართველო თავისი გემირული წარსულით, აწმყოთი და მომავლით. გულისამაჩუყებელი იყო მისი ყოველი სიტყვა. იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე იმალლებდა სმის დონეს. არასოდეს დაურღვევია სადღევრძელოთა რიგი.

ქ. ყანწიაშვილი იყო უაღრესად გულისხმიერი, მაგრამ ამავე დროს პრინციპული ხელმძღვანელი თამადა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას ვინმესთვის ეწყენინებინოს, ან მისი სუფრიდან არ გაეტანათ ვინმე.

ხალხმრავალ სუფრებზე მიღწეული წარმატებებისათვის **ქ. ყანწიაშვილი** მრავალგზის იყო დაჯილდოებული გოჭის თავით, საქონლის ბეჭით, სხვადასხვა ოთხფეხა პირუტყვით — ცხვრით, დეკეულით...

ქ. ყანწიაშვილისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად, როდის და რას სვამდა. იგი ემსახურებოდა სუფრის ნათელ მიზანს — რაც შეიძლება დროზე დაეთრო ხალხი და პატივი ეცა ერის მკენე ტრადიციებისათვის.

სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ გაუგდია მას ხელიდან განსხვავებული სასმისები.

სპირტიანი და ალკოჰოლური სასმელების უანგარო და ბოლომდე ერთგული მსმელის, ხალხმრავალი სუფრების სახელგანთქმული თამადის — **ქ. ჩ. ყანწიაშვილის** ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

ნოვადი ბართანია



ნან. პ. ლაფაუარისა

უსიტყვოდ



— ოთხ ბოთლზე მეტს ნულარ მოგვიტანთ. სამსახურშიც უნდა შევიაროთ!



განჯანსაღების

ბევრისათვის — საზიანოდ,
ბევრისათვის — გასართობად,
ჩვენში თითქმის ყველაფერზე
შემოიღეს ბ ა ნ კ ე ტ ო ბ ა!

მივლინებით რომ წავიდა
ლუკა, ტრესტის ინჟინერი,
ჩვენც გვიხმეს და პურ-მარილზე
სამ დღე-ღამეს ვყიჟინებდით!..

კისლოვოდსკში ისვენებდა
დირექტორი სკოლის, მიტო,
ორ დღეს ყანწი ტრიალებდა, —
დაგვიბრუნდა მშვიდობითო!..

მერე, მიტომ სკოლისთვის რომ
შეიძინა დიდი ბურთი, —
ამის გამოც გაიმართა
ბანკეტი და ფართიფურთი!..

ფერმამ გეგმა შეასრულა, —
დათქმულ დროზე ცოტა ადრე, —
დედალორმა ძლივს გაასწრო,
გოჭებს ყელი გამოლადრეს!..

რევიზორმა შეგვაპოწმა,
დანაკლისი არ აღმოჩნდა! —
მთელ ერთ კვირას ვჭეიფობდით,
სანამ სული არ ამოგვხვდა!..

ხელქვეითნი ორმოცდაათს
ულოცავდნენ ილარიონს! —
ილარიონ ვინ არიო?! —
პურ-მარილი წინ არიო!

თათბირი აქვთ კაბინეტებს
და იმაზე არის ბჭობა, —
კადევ რისთვის, რა საბაბით
მოვაწყეთო ბანკეტობა?!

ნუთუ არვინ არ კითხულობს?!
ნუთუ გული არვის სტკივა?! —
რამდენი დრო იფლანგება
და ფულებიც წყალში ცვივა!..

შ ო თ ა რ ო ყ



„ნიანგი“ შეჯიჯრის

13 მთავარი მკვლედი — საქსთან

მიმდინარე წელს ჟურნალმა „ნიანგმა“ მეცამეტე ნომერში გამოაქვეყნა სია იმ ცამეტი მთვრალი მძღოლისა, რომლებიც 1985 წლის 23 მაისიდან 4 ივლისამდე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონსა და თბილისში მთვრალეები უხსდნენ საჭეს. საგზაო-სატრანსპორტო მოძრაობის პრობლემური საკითხები ჩვენ არ გვეხებათ, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებები ჯერ ჩვენს ყურადღებას არ მოსულაო! — ფიქრობენ ალბათ ზოგიერთები. პოდა, იმ ზოგიერთების გასაგონად გვინდა ვთქვათ, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა კანონის მთელი სიმკაცრითაა გამოცხადებული! ეს მუქარა კი არა, ის დიდი საქმეა, რომელსაც ჩვენი საზოგადოებრიობა აკეთებს. ამიტომაც კვლავ დაინტერესდა „ნიანგის“ „შვილობილი“.

ლი“, რესპუბლიკის სახელმწიფო ავტონისპექციაში მივიდა და იკითხა:

— კიდეც არიან შერეილები?
— შერეილებს ჩვენთან რა უნდათ?! — გაუკვირდათ.

— მე იმ შერეილებზე გეკითხებით, ასეთი განგაშის შემდეგ რომ კვლავ მთვრალეები მიუსხდებიან საჭეს! — განუმარტა „შვილობილი“.

— ჯერჯერობით დაბოგინობენ! — უთხრეს და ცამეტი კაცის გვარი, სახელი, მამის სახელი და სამსახურებრივი მონაცემები მაგიდაზე დაუდეს.

აი ისინიც:

1. **ტარიელ იოსების ძე პირპიტაძე** — ზესტაფონის კომკავშირული მაღაზიის სექციის გამგე.

2. **არჩილ ნიკოლოზის ძე პატაშური** — თიანეთის რაიონის ჩეკურაანთგორის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

3. **გივი ივანეს ძე ჯაფოშვილი** — გურჯაანის დამზადების გაერთიანების სამუშაოთა მწარმოებელი.

4. **შოთა სეპარინის ძე აბულაძე** — რუსთავის „დოსაფის“ სასპორტო სკოლის მწვრთნელი.

5. **თეიმურაზ ვიპტორის ძე შიფინანი** — თბილისის მე-6 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმი.

6. **გურამ ივანეს ძე მესხი** — წულუკიძის რაიონის სოფელ ივანდიდის კოლმეურნეობის მექანიკოსი.

7. **რუსლან მიხეილის ძე გუ-**

ლუა — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ცხარეკაიას მე-11 საგზაო-ტექნიკური ციო უბნის სამუშაოთა მწარმოებელი.

8. **კუპური ალექსანდრის ძე გონგაძე** — ხაშურის სამგზავრო ავტოსადგურის დისპეტჩერი.

9. **რამაზ ვალერიანის ძე დეპანოვიშვილი** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგზაო მშენებლობის ტრესტის № 381 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის სამუშაოთა მწარმოებელი.

10. **რამაზ ვასილის ძე ჩიტაბია** — სამტრედიის მეცხოველეობის კომპლექსის მთავარი აგრონომი.

11. **ჰენრიხ ტიბრანის ძე დუღაშვილი** — სიღნაღის „სახსოფლქიმიის“ გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე.

12. **ამირან ხუტას ძე დინამიჯია** — სამტრედიის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მექანიკოსი.


13. **გოდერძი ნოეს ძე თოდუაძე** — ქარხანა „საქსოფლმანქანის“ სამქროს უფროსი.

მას მერე რამდენიმე ცამეტი დღე გავიდა, „ნიანგმა“ აქა-იქ მიიქმამოთქმას მოჰკრა ყური: „საქსთან მთვრალეები აღარ სხდებიან, შეშინდნენ. აწი რესპუბლიკაში 13 მთვრალი მძღოლს ვეღარ შეაგროვებენო!“

ღმერთმა ქნას!

ჟანი სინარულიძე

ნახ. ჯ. ლოლუასი



— მთვრალი რომ მისჯდომიხარ საქეს და დაგრიალე, ვინ მოვცა უფლება?!

— თამადამ, უფროსო!

დავდივარ, დავიკეხ!..

იბრინული პორცელი


მელოდია სკოლა მარშან დაემთავრე. ვეკლავფერი მასწავლებლს თორიკე, მანქანის ტარებას, ღამე სიარული და, თქვენ წარმოიდგინეთ, შექ-ფარების ჩართვა-გამორთვავე.

შვილებს ვეუფებთ, მარგოს მონ-შიბაზე გამოიღებოთ სოველავარი „ჩაქ-ყობის“ ვარშე მანძარე. შვიერ დღეს-ვე ვავეი ავტომანქანების მანძარე და ერთი პატრონიმთაულებელი „ვი-გული“ ვიყიდე.

მაბო-ვირას მამისეულში წასვლა ვადავიკეხე. თადარიგ დავვიტრე: შორ გზაზე მივიღიდი და მანქანა მივაქუსნივე. ავტონაწილების მალაზი-ში შვიდობი ვავართვი, აი ის, კრეს-ტოინას“ რომ ეძახიან შოფრები, წინა და უანა მხერუტები, „პოლოდესს“ რომ ეძახიან, იმპორტული საწაღები, ნისიად ვამოვიტანე საბურავი, ახალი აკუმლატორი დავაყენე და — პიდასა.

დანარჩენ ნაწილები, რაც მაშინ არ დამკრავდა, საკვანაში შევინახე: უდრ რომ დამკრავდეს და მალაზიაში წაქე-ლის დრო არ მემოწუნეს?

მაღიან მასიაშოვნა ჩემმა რაშმა.



საიტავოლ

ს. ა. ზაზაშვილისა

კვირისგანი: სინაინ?

ნაირ-ნაირ მანქანებს რომ ღილა დავარაღებ, ფეხით მოიარაღებებს რომ ეძახის „რკინაგზა“, საქესთან რომ ატრიალებს დაბახს — ფუფეს, ქონიანს (მახუჩისს ურეშიც რომ არასოდეს ქონიანს). დღისით სინაინს, საღამოს კი ჩაგებ და — მაიდა! სერანგეით იცვლის ავტოს — გეკითხებითი —

შეგობებს და აშინაგებს ველარ, ცნობის თე ავტო, „მოკეისს“, „ნივას“, „გაზ-ოცდარისს“, ანა „კოვდეს“ — ივადრებს!

ღბი ვამოხრლოდ ავებს, გოფეა ქვეს მიმართი, გზეზე ცვაჯარეიდენიშე გვაჯვარბობს, „ფრანა სინაინალი“.. თავი ეტრედი აქვს და ჭიბით არის მღებრი. ნიკლანს რჩინთ ეცხობს ნაღდი პრივილეგილი ვინ არის და კაცია, ანა ვინა შეუღლი? გაიცანითი — დღეცანდელი —

საწმუნაოდ, ამ გაბლენილს, ამ ფუცი და ამ მუღოს ზოგმა ავტონსექტორმა ღამის ჩესტი“ აუღლია! ბუნდმთა და მეტრობობით თავს რომ ასე გავიდა, ხელნი, ეს, გაზ-ოცდარისს“, რად არ გეკითხავთ: —

მთელ დღეს დაჭრის და ნებვირობს, ხელმას კი ფულს. ითვლის. —

მიხი „ღვეა“ დღეში უღრის ზოგის გაღრას ზუთი თვისი არსად იული არ უღრია, არსად უმოდვანი, საწმუნა იარაღი მისთვის მხოლოდ უანქია! არც მუშაა არც დღეცედი და არც პროფესორია. მაშ, საიდან? — მე მგონია, ეს შეკითხვა სწორია! შექმნის და გასაღების ხელშობს ფლობს ურთიუღებს. „მურხედესაქ“ იწუნებს და ექვს თვლით უყურებს! რით ნებვირობს სულ რომ ვხედავთ ასე ღილს და —

ჩემი შრომის, შენი შრომის, სხვისი შრომის ნაუფიოთი დედაშიწა — ქალამანი, ქულიდ არის მისთვის ცასი. ჩემს კისტერზე, შენს კისტერზე, სხვისი —

ერთი შიღის ზრდის და ანებვიტეს (არ ურუტეს „ფინანსებს“), შენი შიღის, ჩემი შიღის, სხვისი შიღის — შევლოა „ჩინაზე“! თუ ფული გაქვს, მაშინ ჩავთვლის მეგობრად და ძმავად; ვაქეფულად ღომი არის. შინაინად — ბაცეცა! გეკითხებითი — ეგ საიდანა გაბდ მდიდრად ასეთდა? — ჩემი ჭიბითი, შენი ჭიბითი, სხვისი ჭიბითი —

შეუდა თვირი „ოცდარისი“, დღეს „ჩოქესს“ შავი და ხელუბის ავებს ცნობა თემაში — მანქანებმა — საიდანა? ხან „ჩოქესს“, ხან „მოვიცო“, ხან კი „ერო ანდრეობი“, არც მამა შეყვს, არც მამუა, ძმა და ბიძაც — არც ერთი ეს ცხობრება ჩემიაო.. ჩაგდება და — მაიდა! სიდეე ერობულ გეკითხებითი — შიბახუსეთი —

— საიდან? ხან „წითელ ხილს“ ეტბურებთ, ხან — „მარაბდას“, ხან — „ჩარწინს“, „შეღის სკოლაში“ ვიუღლი დილით სხვისი „ოვლიანი“ აჯახვისი რომ დავიკეხა ქაქხითი ზედა მოუსუბუხე ჩაგდეს! გეკითხებითი — ამ არაკაცს ვევილაფერი —

ს. ა. ზაზაშვილისა



— ის ახანავი, ბოლოში რომ ზის, პატარა უანწით რატომ სვამს? — მავი მანქანიაა, ბატონო, და ამაღამ საქესთან უნდა დაჯდეს!

მანო ცინცაძე

მანქანებისგან გვიხსენია!

მანქანებისგან გვიხსენით!

მითხარით, როგორ არა ვთქვა, როცა საშველი არა ჩანს, როს იქცა მთელი თბილისი მოსიარულე გარაჟად?!

მანქანებს სადღა არ ნახავთ, ყველგან მარულა გამართეს, ტროტუარებზეც შემოსტნენ, ტროტუარებიც წაგვართვეს!.. ჩვენ კედელ-კედელ გაგვრიყეს!.. ეჰ, მანქანებმა რა გვიყვეს, — გზატკეცილებიც დაიპყრეს, ტროტუარებიც დაიპყრეს!.. მტკაველი რაა? — არ დარჩათ „აუთვისები“ ადგილი, ყველგან მანქანის ჯგრო ბრუნავს, ქალაქში ფხვით სად ივლი?! „სივრცის დაპყრობით“ ისინი ისე არიან „ნაგვში“, რომ ლამის ტროტუარიდან შემოგვივარდნენ სახლებშიც!.. ჩვენი სახლების კარებთან (უფრო ამუქებს ეს სურათს!) მანქანა ბრუნავს იმდენი, სახლებში ვეღარ შევსულვართ!.. არ გვაჩერებენ მიწაზე, გვაჯესებენ სევდით, კაუნით!.. ფრთები რომ გვესხას, იმ ფრთებით ავფრინდებოდით ჰაერში!.. ჰოდა, თავს მანქანებისგან იქ მაინც გადავირჩენდით, თორემ აქ ჩვენ დღე რაც გვადგას, ჩვენს მტერს დაადგეს ისეთი! კვლავ ვიმეორებ: მანქანებს, ნუთუ ვერ გადავურჩებით?! სად გავიართო, როდესაც სულ მთლად გაჭედეს ქუჩები?! დაფარეს მთელი ქალაქი, მოედნენ როგორც სახადი!.. ანუამად ფეხით თბილისში თითქმის არავინ არ დადის!.. ...ჰე ავტონისპექტორებო, გამოაცხადეთ განგაში! — მანქანებისგან გვიხსენით! — ვართ მანქანების ალყაში!..

ზიორგი შეთაქაური

ახმედხან აბუ-გაჰარი

(დალესტანი)

შემთხვევა
გზაზე



იუმორისტა

ატლი-გუიუნის მთიან ხეობაში ორი ავტომანქანა შეეჯახა ერთმანეთს — ორი „ვოლგა“. მანქანებიდან გამოცვივდნენ პატრონები და ერთმანეთს ლანძღვა-დაუწყეს, — არა შენი ბრალია, არა შენია!.. ავარიისგან ორივე მანქანა ერთნაირად დაზიანდა: ფარები დაემსხვრათ და ფრთები შეედუნათ!.. პატრონები დაღვრემილები შეჰყურებდნენ ხან მანქანებს, ხან — ერთმანეთს!..

ანაზღად ერთმა მათგანმა საბარგული გააღო და იქიდან ძვირფასი კონიაკი ამოიღო, ჭიქა და ლიმონიც მოაყოლა.

— მომისმინე, მეგობარო! ლანძღვით არაფერი გამოგვივა! ბოლოს და ბოლოს, დიდი არაფერი მომხდარა! შეიძლება უკეთესიცაა, — ავარია რომ არა, ერთმანეთს ვერც გავიცნობდით! რა გქვია?

— ისრაფილი!

— მე კიდევ ნურადინს მეძახიან! მოდი, გადავკრათ და კამათიც დავასრულოთ! — დაუსხა და სავსე ჭიქა გაუწოდა. — დალიე, ღმერთმა შეგარგოს!

— გაგიმარჯოს! — თქვა ისრაფილმა და გადაკრა.

ნურადინმა ბოთლს აუჩქარებლად შოარგო საცობი და საბარგულში ჩადო.

— შენ რატომ არ დალიე? — ჰკითხა ისრაფილმა.

— მაპატიე, მეგობარო, მაგრამ მე ალკოჰოლს ახლოს არ ვეკარები, როცა საჭეს ვუჭივარ, მით უმეტეს ახლა, როცა ავტონისპექტორი გვიახლოვდება!..

თარგმნა ელგუჯა მერაბიშვილმა

ნახ. 3. კუჭიანი





სახელმწიფო ავტონსპექტივამ შარშან ჩვენს რეს-
პუბლიკაში 22 ათასამდე ნახვამი მძღოლი გამოავლინა,
ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში — 5250.

გ ა ზ ე ტ ი ა ბ ი ლ ა ნ

ეს ძალდაუტანებელი საუბარი „ნიანგის“ რედაქციაში
გამართა. ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ აიღო ღვინის მოტრ-
ფიალე, ახლა უკვე მართვის უფლებააყრილი ერთ-ერთი მძღოლისა-
გან.

— ნახვამ მღვთმარობაში მანქანის მართვის შემთხვევები თითქმის
არ კლებულობს!.. მათი რიცხვი შემაშფოთებლად დიდია!.. ტრადი-
ციული ღვინისძიებები — ჭკუის დარიგება, დაჯარიმება, მართვის
უფლების ჩამორთმევა, ზოგჯერ მანქანის ჩამორთმევა ალარ
ჭრის!.. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა მუშაობის კიდევ უფრო
გააქტიურება! რა ვქნათ, რა ვილონთ?! თქვენ სომ არაფერს გვირ-
ჩევდით?! იქნებ რაიმე წინადადება გაქვთ?!

— წინადადებების მეტი რა მაქვს, ერთ-ერთი მათგანის განხორ-
ცილება, ჩემი ღრმა რწმენით არსებითად შეამცირებს საგზაო-სატრ-
ანსპორტო შემთხვევების რაოდენობას!..

— ჰე, კაცო, ეგებ გვაშველოს!
— აიღეთ და დაავალეთ საპროექტო ორგანიზაციებს, უმოკლეს
დროში დაამუშაონ სატრანსპორტო მარშრუტების ახალი ვარიანტი
პირობითი სახელწოდებით „რკიანი“. მომავალში ქუჩები და
გზები ლარივით სწორი კი აღარ უნდა იყოს, არამედ მიხვეულ-
მოხვეული, ზუსტად ისეთი, როგორიცაა ნახვამი მძღოლის მიერ
მართული მანქანის გაკეთებული მრუდები — ზიგზაგოვანი, მ-სებური!
— ოო, მე ვერძნობ, ამ საუბრიდან ბევრ სასარგებლო აზრს გამო-
ვიტანო! სხვა?

— მოგვხსენებთ, რომ ბოლო დროს ტრანსპორტზე ფართოდ
გამოიყენება თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი. ეს — მართვის
პულტებიო, ეს — ავტომატიკაო, ეს—ვერტეფრენებიო, ეს—რადარიო!..
ჰოდა, განა რა გავჭირდა ასეთ პირობებში, რომ ავტონსპექტორებმა
და კვალიფიციურმა სპეციალისტებმა ერთობლივად მოიფიქრონ
შექმნან რადიომართული ავტომანქანები, ყმაწვილების თავშესაქცევი
პატარა სპორტული ავტომანქანები და პლანერები რომ არის, იმ
ტიპისა?! ნახვამი ხარ? — გამოირთოს მექანიკური საჭე ავტომატურ-
რად და ჩაირთოს რადიომართვის აპარატი, რომელიც ავტომანქანასა
და მის შეზარხოშებულ ეკიპაჟს ყველაზე ოპტიმალური და უმოკლესი
გზით მიიყვანს... ინსპექციაში კი არა, შინ! აუცილებელია, რომ
მანქანის მართვის პულტი ხელთ ეპყრას მძღოლის მუდღელს, რათა
სასწრაფოდ შინ გიკრას თავი და ინსპექტორების საფიჯუნად არ
გაგხადოს საქმე! ეს არსებითი დეტალია!

— ნამდვილად კარგი იდეაა, პერსპექტიულიც! საგზაო ნიშნებზე
რას იტყვიან? მძღოლთა სიმთვრალის ასეთი მოძალების პირობებ-
ში, ალკოჰოლის ამკრძალავი ნიშნები ძალიან მოკრძალებულად სომ
არ გამოიყურებიან?

— საგზაო ნიშნებსაც უთუოდ უნდა გადახდისება. მაგალითად
უშლაგბაუში, რკინიგზის ვადასასქლელის აღმნიშვნელ ნიშანზე აღ-
ბეჭდილია ორთქლმავალი, რომელიც ძალიან მოგვაგონებს ამ საუ-
კუნუნახვერის წინათ ინგლისში შექმნილ პირველ ორთქლმავალს. მე-
ოთხედ საუკუნეზე მეტია, ჩვენში საერთოდ აღარ აწარმოებენ ორთქ-
ლმავლებს, ახლა ელმავლების ეპოქაა! მეორე მაგალითი: ქალაქგარე-
თა გზატკეცილებზე, საჯვების პუნქტებთან, ზოგჯერ თვალში მოგ-
ხვდებათ (მით უმეტეს, თუ მოშიებული ხართ) გადაჯვარდინებული
სუფრის კოვზი და დანა. აქ სუფრის კოვზი საერთოდ არაფერ შუა-
შია! აბა, ტრასაზე განლაგებულ რომელ რესტორანში, სასადილოსა
და სასაუზმეში მოგიტანენ წვინანს — ბერძენს, სუპს, ბულიონსა და
მისთანებს?! სხვა საქმეა მწვადი, კუპატი, ლობიო, მჭადი, ღვეხელი!
ჰოდა, დადგა დრო, გავასწოროთ შეცდომა: შესაბამისი ნიშნიდან
ამოვიღოთ სუფრის კოვზი და გადაჯვარდინით დანა და ჩანგალი!
სიზუსტისათვის არ იქნებოდა ურიგო ყანწების გადაჯვარდინებაც
რაც უნდა იყოს, ყანწი მაინც ჩვენი ეროვნული სასმისია!..

— თქვენ სწორად მიანიშნეთ: ყანწი მაინც ყანწია და მის ცდუნე-
ბას ბევრი ვერ აღწევს თავს! აქედან გამომდინარე, სდება სოლემე,
რომ ავტონსპექტორიც ნახვამი და მძღოლიც. ესე იგი, ორივე მხარე
დამნაშავე და ორივე იმსახურებს მკაცრ სასჯელს. ვინ როგორ დაჯ-
საჯოთ?

— არა, თუ ძმა ხარ, ავტონსპექტორს თავი დაგანებოთ და ყველა
შემთხვევაში დეკლარაციო მძღოლი!

— რ ა ტ მ ?

— იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ავტონსპექტორს აქვს ჩასასუნთქი
აპარატი და მას შეუძლია დავიმატიცოს შენი სიმთვრალე, შენ კი
არა გაქვს ასეთი აპარატი და ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ დაამ-
ტიციებ ინსპექტორის სიმთვრალეს! მეორეც — ნახვამი ინსპექტორი
გადავა მთავარი გზიდან, თვალს მიეფარება, შეეუხრდება კაი ჩეროში
და თუ არ დაძინა, იქიდან გითვალთვალეს, რომ არაფერი დააშა-
ვო! ღვინით გასურებული მძღოლი კი თავის ჭკუაზე, უფრო სწო-
რად, თქვენი ტერმინი რომ ვინმარო, „უჭკუოდ“ დააქროლებს რკინის
რაშს და ხან ღობე-ყორე ედება თვლებში, ხან — ქალი და ხან — ბავ-
ში. არის ამაში განსხვავება? არის. ამასთან, შეიძლება, ღვინით
გულაჩუყებულმა ინსპექტორმა ერთგვარად შეგიმსუბუქოს კიდევაც
სასჯელი (სომ იცით, გული გულს იცნობს) და მძღოლისთვის ესეც
შეღავათია. არადა, ინსპექტორის დასჯაზე რომ მიღვეს საქმე, ჩემს
მტერს! — ვიღას მიეკარები?!

— თქვენ ჩურო ახსენეთ. ბევრი მძღოლი საყვედურს გამოთქვამს—
გაიხიდავ გზაზე — არაჟინ არის, დააშავებ და მაინც ინსპექტორი
დაგაღებება თავზე! როგორ უნდა მოიქცეს კაცი, რომ დროულად
აღმოაჩინოს ხეს, ბურქებს ან სახლის კუთხეს ამოფარებული ინსპექ-
ტორი?

— თუ მაინცდამაინც გინდა ინსპექტორის ნახვა, უნდა დაარღვიო
მოძრაობის წესი! ქართული ანდაზა ამბობს, ურემი რომ გადაბრუნ
დება, გზა მერე გამოჩნდება. ბრძნული ნათქვამია.

— ჩვენ გამოვიანგარიშეთ და დაავსკვენით, რომ ავტოსაგზაო შემ-
თხვევათა ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის შაბათზე, კვირასა და
ორშაბათზე. სომ ვერ მეტყვიანთ, რა არის ამის მიზეზი?

— გულბრყვილო შეკითხვაა. შაბათი და კვირა დასვენების დღეე-
ბია, ჰოდა, ჩვენც ბუნებრივად მიგვაჩნია ყელის გასველება ნუნუათი.
ცოტა ყელს რომ გაისველებ, მერე, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „მუხ-
რუტებიც სვედება“ და... ნახვამის სიფხილვე! რაც შეეება
ორშაბათს, ორშაბათი „პანმელიის“ დღეა. ალკოჰოლს კიდევ, მოგეს-
სენებათ, ის თვისება აქვს, რომ, რაც უნდა მცირე დოზით მიიღო,
ორგანიზმში მის გამოსვლას სულ ცოტა ერთი დღე-ღამე მაინც
უნდა, თუ მეტი არა — გააჩნია დრო!

— საქმეში კარგა გვარიანად ჩახედული ყოფილხართ! აფსუს, რა
თავი ფუჭდება!

— მაშ, მაშ!

— დაბოლოს, ერთი შეკითხვა: ავტონსპექტორი ზოგჯერ ზედმეტ
ცნობსმოყვარობას იჩენს და გვეითება, მაგალითად, ასეთ რამეს: —
მაინც რა დალიე, შე ოხერო, ისეთი, რომ ფეხზე ძლივს დგახარო?!
მოგწონთ ასეთი შეკითხვები?

— არა, არ მომწონს, მაგრამ რაკი გვეითებიან, შენც უნდა უპა-
სუხო და იცით რატომ? — ზოგჯერ ისეთი ლახთიანი და ჭკუის-
სასწავლებელი რებელი მოპყვება ამას, რომ გენსიამოვნება. ერთხელ
ერთმა ჩემნაირმა ამნაირ შეკითხვაზე უპასუხა: — რა დავლენა
მუნრანის ღვინოო. ინსპექტორი არც დაფიქრებულა, ისე უთხრა: —
მუნრანის ღვინის დაღვევას, მუნრან მაჭავარიანის ლექსი წაგვეითხა.
ის ჯობდაო!


— ეჰ, თქვენი გამოსწორება, როგორც ჩანს, არ იქნება! მგლის
თავზე სახარებას კითხულობდნენო, რომ იტყვიან, სწორედ ისეა!

— გამოდის, რომ მე მეგელი ვარ?!

— არა, მეგელი არა ხართ, მაგრამ მგლისა და სახარების ამბავი
კი ზედგამოჭრილია თქვენზე!

— აბა, თქვენ სამი სახარება შეგწვიოთ! მე კი... მე მაინც სამი რამ
მიყვარს ამქვეყნად: ღვინო, დუღუკი, ქალები!

ჩაიწერა დონ პედრომ



— ჰკვიან კაცს უთქვამს: გზა ქალაქის სარკვეაო!

— მეტი არაფერი? — გაეპასუხა მეორე ქუჩა.

— ნამდვილად მეშველება! — გაიფიქრა გრძელმა ქუჩამ და აღმაცერად გადახედა სხვა ქუჩის ჩიხს.

ჩიხი ისეთი ბრიყვი არ იყო, რომ ვერ გამოეცნო ასეთი გადმოსხედა, და გაეღიმა.

— არ იცის მაგ სულელმა, ჩემს ჩიხში ვინ ცხოვრობს და არც ის იცის, გამოიდარებს თუ არა, მაშინვე როგორ ასფალტს დამაგებენ მკერდზე!

გრძელ ქუჩას თავი ქუდში ეგონა, არც ხელი გაუნძრევია, არც ვინმე შეუწუხებია, არც ფული შეუგროვებია მცხოვრებლებისაგან ასფალტის ღრმად. დარწმუნებული იყო, ქალაქში, პირველ თუ არა, მეორე, ან მესამე ქუჩად მაინც ითვლებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს გრძელი ქუჩა შედავს, გვერდი აუარეს, სადღაც მთისძირას დაავეს ასფალტი, მაგრამ გული არ გაიტენა: — ასე ყოფილა საჭირო, ჩემთვისაც მოიცლიანო, — გაიფიქრა. ამიტომ ზარ-ზეიმით შეხვდა მეასფალტეებს, მადლობაც უთხრა ასფალტის დაგებისათვის. ახლა რომ არ ვარ



ფელატონის მამიერ

სხვაზე ნაკლებიო?! — გაიძახოდა.

ხანმოკლე გამოდგა მისი სიხარული. გამოჩნდა ექსკავატორი, გადათხარა ასფალტი და მიღები ჩაყარეს მიწაში. ატირდა გრძელი ქუჩა, სხვათა უთავობას დასტიროდა. ისევ გაჩნდა ორმოები, თხრილები...

ერთმა გამვლელმა კიდევაც ჩაი-

ქირქილა: „გზას ვამბობ, თორემ რა გზაა?!“

თითუბი დაიცო ყურებში: სწორია ეს ადამიანი, როცა მზე ანათებს, იმდროს არავის მოფიქრებია შორს რეშვა, ახლა კი როგორ ავტალანდი!..

ერთი გულისტკივილიც მოემატა — მთავარმა ქუჩამ შემოუთვალა: „შენი ქუჩის ბავშვებს ფეხები დაბანე ღელეში, თორემ ამოსვრილსა და ამოთხუბნილს სკოლისაკენ არ გავატარებ, დიდებს კი ბოდში არ მოუხადო!“

სწორია მთავარი ქუჩა! — რატომ მოვიხდი ბოდის დიდების წინაშე, როცა ხმასაც არ იღებენ, თითქოს ვინმესი ეშინიათ?! კი, ბატონო, ამოისვარონ ჩემსავით ტალახში, მხოლოდ ბავშვები მეცოდება: ვერც ღელეში ჩავიყვან ფეხების დასაბანად (უიმე, შიგ რა არ ყრია?!, საშიშია, ფეხი არ მოიტეხონ!) ვერც გულზე მიხუტებულებს მივიყვან სკოლაში! — მე, ხომ ტალახში ვარ ამოსვრილი და ვიხრჩობი?! — არც სკოლამდე მისასვლელი გუშინდელი ასფალტდაგებული გზა უკეთეს დღეში!..

კუპური კუპულაქე



წ. ლოლუასი

— ეგ არი, მამი, „ფიგულს“ გიყიდიო?!
— ჯერ ამის გემო ნახე, შვილო, და „ფიგული“ თვითონ მოგივა!



ნაბახუსევი მძღოლები

თვალებს იფშენებენ ზმორებით
 ნაბახუსევი მძღოლები..
 აღარც ცოლ-შვილი ახსოვთ და
 არც — მოუვარე და მოკეთე!..
 აქეთ გეტყვიან: „ლა მ ა ზ ო,
 წ ა დ ი!
 მ ო მ ც ი ლ დ ი
 მ ო კ ე ტ ე!“
 ზოგი იკადრებს იმასაც, —
 დაიწყებს თავის მართლებას,
 და, თუკი თავი იმართლა,
 წავა და ისევ დათვრება!..
 მძღოლებო,
 უნდა იცოდეთ,
 რომ აღარა გვსურს ქვეითებს, —
 ჩვენი ლამაზი სიცოცხლე
 შევწიროთ მაგ თქვენს ქეიფებს!
 გედღევათ,
 გაძღვეთ არჩევანს
 აქტებთან თვალგასწორების! —
 მთვრალი ვინც ჭდება საჭესთან,
 მკაცრად ისჯება სწორედ ის!
 თუკი თავი გაქვთ გაგების,
 მიხვდით, ლოთობას რა მოსდევს!..
 გვინახავს ამხანაგები,
 ვისაც ლაგამი ამოსდეს!
 არის ქვეყანა, —
 ხომ იცით? —
 სადაც საზომად სიფრთხილის —
 სასჭელი ლოთი მძღოლისთვის
 ერთადერთია — ს ი კ ვ დ ი ლ ი!..
 ჩვენთან კანონი ამგვარი
 არ არის,
 გვინდა, არც იყოს,
 მაგრამ სხვა არის მთავარი,
 ჩემო ძმაო თუ ძამიკო! —
 მეტად კარგს იზამთ, თუ ოდენ
 შეირგებთ სასმელ-საჭემელსა!..
 ქვეითი თუნდაც ტყუილდენ, —
 მთვრალი ნუ სხდებით საჭესთან!

ნოდარ ნარსია



ნახ. ზ. ფორჩხიძის

— სანთლები გაქვთ?
 — სანთლები ეკლესიაში მოიკითხე!

ნახ. ჯ. ლოლუასი



გზასაცდენილი

ამ ჩემს ავტომანქანას, —
 ჩემს იმედს და მარჩენალს, —
 ბევრი რამე ორი აქვს —
 მარჯვენა და მარცხენა!

ვთქვათ, ნაწილი დაგვირდა
 (თან გსურს ცოცხლად დარჩენა!),
 რომ გაუძლო სატანჯველს,
 უნდა იყო არსენა!..

თუ დაგვირდა მარჯვენა
 (ღმერთმა ავად გახსენა!),
 გასაყიდად სუყველგან
 არის მხოლოდ... მარცხენა!

ვთქვათ, დაგვირდა მარცხენა!
 (საქმემ ასე გაჩვენა!),
 სადაც უნდა მიხვიდე,
 არის მხოლოდ... მარჯვენა!

ჰოდა, ავტომანქანა
 (თუ არავინ დაგწყველა!)
 ორი უნდა იყიდო —
 მარჯვენა და მარცხენა!

ლ. სულავე



სატირიკო და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 17 (1628) სექტემბერი, გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ გოლჭავაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნომილი ბართაყა, ზორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მაღალაშონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიგწივაძე, ნაფი ჯუსოიტი.

ტექნიკური რედაქტორი მიხეილ კუხალაშვილი

გარეცა ასაწყობად 3. 08. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდლად 16. 09. 85 წ. ქალაქის ზომა 60x90/4 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა № 1757 უე 05590 ტირაჟი 143300 ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან — მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი. ინდექსი 76137



აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აფინანსებს ახალ რადიოსადგურებს — „რადიო მარტიუს“, რომელიც აწარმოებს ძირგამომთხრელ გადაცემებს სლავოლიტური კუბის წინააღმდეგ და „თავის უფალ ვლანისტანს“ ანალოგიური დანიშნულებით.

გაუმთავრიდან

საინტელექტუალი სადაზვერვო სამმართველო

US

სადაზვერვო სამმართველოს ახალ ტალღაზე

